



წინაპდებარე
ანგარიში
გეოგრაფიული
თანამშრომლობით
ორგანიზაციასთან:

ZSL
LET'S WORK
FOR WILDLIFE



პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიში 2020

გარემოებანი სვლიდაები ბიომრავალფეროვნების
კარგვის შესაჩვენებლად

ჩვენი

WWF

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უდიდესი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი კონსერვაციული ორგანიზაცია, რომელსაც 5 მილიონზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. მისი გლობალური ქსელი 100-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. WWF-ის მისიაა პლანეტის ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შეჩერება და ისეთი მომავლის შექმნა, სადაც ადამიანები ბუნებასთან ჰარმონიაში იცხოვრებენ, მსოფლიო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მეშვეობით, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით, გარემოს დაბინძურების შემცირებითა და ნარჩენების მართვის ხელშეწყობით.

ზოოლოგიის ინსტიტუტი (ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოება)

ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოება (ZSL) საერთაშორისო სამეცნიერო, კონსერვაციული და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც 1826 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მისიაა სამყაროში შექმნას ისეთი გარემო, სადაც ველური ბუნება სრულფასოვნად არსებობს. ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოება, ლონდონისა და ვიფსნიდის ზოოპარკების ხელმძღვანელობით, ახორციელებს ინოვაციურ სამეცნიერო საქმიანობებსა და სავსელ კონსერვაციას მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც აერთიანებს მილიონობით ადამიანს.

ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოება, WWF-თან თანამშრომლობით, ახორციელებს პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსის® გამოთვლას.

ციტირება

WWF (2020) *Living Planet Report 2020 -*

Bending the curve of biodiversity loss.

Almond, R.E.A., Grooten M. and Petersen, T. (Eds).

WWF, Gland, Switzerland.

დოზიანი და ინფოგრაფია: peer&dedigitalesupermarkt

ფოტო ყდაზე: © Jonathan Caramanus / Green Renaissance / WWF-UK

ფერმერი ნენსი რონო, სახელოზე ქამელეონით, ბომეტის ოლქი, მდინარე მარას აუზის ზედა ნაწილი, კენია.

Living Planet Report®
and *Living Planet Index®*
are registered trademarks
of WWF International.

8 მილიარდი მიზეზი, თუ ჩატომ უნდა გავუფრთხილეთ ბუნებას

იმ დროს, როდესაც მსოფლიო მწვავედ განიცდის სიცოცხლის ციკლის გლობალურ რღვევას, 2020 წლის 'პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიში' (Living Planet Report) ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბუნება ვერ ასწრებს მძიმე შედეგების გამოსწორებას და სუსტდება, ჩვენი პლანეტა კი გამაფრთხილებელ სიგნალებს გვაძლევს. კაცობრიობის მიერ ბუნების განადგურება კატასტროფულ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ველური ბუნების პოპულაციებზე, არამედ ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ყველა ასპექტზე.

საჭიროა, დაუყოვნებელი კულტურული და სისტემური გარდაქმნები, რასაც ჩვენმა ცივილიზაციამ დღემდე ვერ გავრთავთ თავი - ისეთი საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომლის მიხედვით, შესაბამისად დაფასდება ბუნების განუზომელი მნიშვნელობა.

უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება პლანეტის მიმართ, რათა შევინარჩუნოთ დედამიწაზე არსებული სიცოცხლის გასაოცარი მრავალფეროვნება, ხელი შევუწყოთ ჯანსაღი და წარმატებული საზოგადოების განვითარებას და რაც მთავარია, გადავარჩინოთ საკუთარი სიცოცხლე.

ბუნების გლობალური შემცირება ისეთ უპრეცედენტო მაჩვენებლებს აღწევს, რომლის მსგავსიც მილიონობით წლის მანძილზე არ დაფიქსირებულა. საკვებისა და ენერგიის წარმოება/მოხმარების დღევანდელმა მოდელმა და გარემოს მიმართ აშკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, რაც ჯერ კიდევ მყარად არის დამკვიდრებული თანამედროვე ეკონომიკაში, ბუნებრივი სამყარო ზღვარზე მიიყვანა. COVID-19 ბუნებისადმი ჩვენი არასწორი დამოკიდებულების აშკარა გამოვლინებაა და ხაზს უსვამს ადამიანებისა და პლანეტის სიჯანსაღის შორის ღრმა ურთიერთკავშირს.

პლანეტა შევლას ითხოვს და დროა ვუპასუროთ მას დაუყოვნებელი მოქმედებით, არა მხოლოდ იმისთვის, რომ დავიცვათ სიცოცხლის საოცარი მრავალფეროვნება, გაუფრთხილდეთ იმას, რაც გვიყვარს და რასთანაც თანაარსებობის მორალური ვალდებულება გვაქვს, არამედ იმისთვის, რომ ამ საფრთხეების უგულვებელყოფა 8 მილიარდამდე ადამიანის მომავალს ემუქრება.

უკეთესი მომავლის შენება იმ გადაწყვეტილებების განხორციელებით იწყება, რომლებსაც დღეს მთავრობები, კომპანიები და ადამიანები მიიღებენ. მსოფლიო ლიდერებმა დროულად უნდა იმოქმედონ, რათა დაიცვან და აღადგინონ ბუნება, იმისათვის, რომ შეძლონ ჯანმრთელი საზოგადოებისა და წარმატებული ეკონომიკის უზრუნველყოფა.

დროა, მსოფლიომ მხარი დაუჭროს ბუნებასა და ადამიანებს შორის ახალ შეთანხმებას რათა 2030 წლისათვის შეაჩეროს და შემოაბრუნოს ბუნების კარგვის პროცესი, უზრუნველყოს ნახშირბადის ემისიების ნეიტრალური დონე და ხელი შეუწყოს ბუნების მიმართ კეთილგანწყობილი საზოგადოების ჩამოყალიბებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს იქნება ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საუკეთესო გარანტი, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ბავშვების უსაფრთხო მომავალს.



მარკო ლამბერტინი,
WWF საერთაშორისო
ოფისის გენერალური
დირექტორი

გობადი ინოვაცია

განუზომელია ბუნების როლი ადამიანის არსებობისა და ცხოვრების კარგი ხარისხისათვის, ჰაერის, მტკნარი წყლებისა და ნიადაგების უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის - ამ ყოველივეზე თითოეული ჩვენგანია დამოკიდებული. გარდა ამისა, ბუნება არეგულირებს კლიმატს, უზრუნველყოფს დამტვერვასა და მავნებლების კონტროლს და ამცირებს სტიქიური უბედურებების ზეგავლენას. დღესდღეობით მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში ადამიანებს აქვთ გაცილებით მეტი ოდენობის სურსათი, ენერგია და მასალები, თუმცა მცენარეებისა და ცხოველების რესურსის გადაჭარბებული გამოყენება თანდათანობით სპობს ბუნების უნარს, კვლავ წარმოქმნას ეს რესურსი მომავალში.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიოში წარმოუდგენლად გაიზარდა გლობალური ვაჭრობა, რესურსების მოხმარება და მოსახლეობის რაოდენობა, მასობრივი ზასიათი მიიღო ურბანიზაციამ. ეს ტენდენციები ბუნების განადგურებასა და დეგრადირებას იწვევს: მსოფლიო დღეს გადაჭარბებულად და უპრეცედენტო ტემპით მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს. მხოლოდ მცირე რაოდენობის ქვეყნებშია შემორჩენილი ბუნება პირვანდელი ველური სახით. ჩვენი ბუნებრივი სამყაროს გარდაქმნა არნახულად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

2020 წლის პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსის მიხედვით, გამოვლინდა საშუალოდ 68%-იანი კლება ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიების, რეპტილიებისა და თევზების იმ პოპულაციებში, რომელთა მონიტორინგი ხორციელდებოდა 1970 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში. სახეობათა პოპულაციების ტენდენციები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი მთლიანობაში ეკოსისტემის ზოგადი სიჯანსაღის საზომია. ბიომრავალფეროვნების, ყველა ცოცხალი ნაირსახეობის, შეფასება კომპლექსური პროცესია და არ არსებობს რომელიმე ერთი საზომი ან კრიტერიუმი, რომელსაც შეუძლია სრულად მოიცვას და ასახოს ყველა ცვლილება სიცოცხლის მთლიან სისტემაში. ამის მიუხედავად, ინდიკატორების უმეტესობა ცხადყოფს, რომ ბიომრავალფეროვნება შემცირებულია ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

შევგიძლია ბიომრავალფეროვნების შემცირების ამ ტენდენციების შემობრუნება? ეს საკითხი დაისვა 2017 წელს გარდამტეხი ცვლილებების ინიციატივის (Bending the Curve Initiative) მიერ. აღნიშნული ინიციატივა აერთიანებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), 40-ზე მეტი უნივერსიტეტის,

კონსერვაციული და მთავრობათაშორისი ორგანიზაციების კონსორციუმს. ინიციატივის მიზანია ბიომრავალფეროვნების კარგვის ტენდენციის შემობრუნების გზების კვლევა და მოდელირება.

ამ მოდელირების შედეგად მოხდა „კონცეფციის დადასტურება“, რომ შესაძლებელია შევაჩეროთ და შემოვაბრუნოთ მიწათსარგებლობის ცვლილებით გამოწვეული ხმელეთის ბიომრავალფეროვნების კარგვა. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციით და სურსათით უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემის ტრანსფორმაციით, შესაძლებელია ბიომრავალფეროვნების აღდგენა და მზარდი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა.

ამ მიზნის მისაღწევად თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და იმოქმედოს. გარდამტეხი ცვლილების ინიციატივის ფარგლებში წარმოდგენილი მოსაზრებების პარალელურად, მივმართეთ ახალბედა და გამოცდილ ანალიტიკოსებსა და პრაქტიკოსებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ვთხოვეთ, გაეზიარებინათ ჩვენთვის, თუ როგორ წარმოუდგენიათ ჯანსაღი პლანეტა ადამიანებისა და ბუნებისათვის. მათი მოსაზრებები გაერთიანებულია პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ 2020 წლის ანგარიშის პირველ სპეციალურ დამატებაში: „მიეცით თქვენი ხმა პლანეტაზე სიცოცხლეს“.

ახლაჩან მსოფლიოს გარემოსდაცვითი ცნობიერება შეძრა მთელმა რიგმა კატასტროფულმა მოვლენებმა - ტყის ხანძრებმა, კალიების მასობრივმა შემოსევებმა და კორონავირუსის პანდემიამ - და წარმოაჩინა, რომ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია უნდა იყოს უპირობო სტრატეგიული ინვესტიცია ჩვენი ჯანმრთელობის, სიმდიდრისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. 2020 წელს ეწოდა „სუპერ წელი“, ამ წელს საერთაშორისო თანამეგობრობა კლიმატთან, ბიომრავალფეროვნებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ შეხვედრათა ისტორიული ციკლით გეგმავდა ანთროპოცენის ეპოქაში ცხოვრებისთვის საჭირო სადავების ხელში აღებას, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო კონფერენციების უმეტესობა 2021 წლისათვის გადაიდო.

ჩვენი პლანეტის ამჟამინდელი მდგომარეობა ადასტურებს, რომ მსოფლიომ და მისმა ლიდერებმა ახალი გლობალური გეზი უნდა აიღონ, რათა მიაღწიონ როგორც ბუნების დაცვის მიზნებს, ასევე უზრუნველყონ ადამიანების კეთილდღეობა.


ვიცით, რომ WWF-ის წინამდებარე, 2020 წლის პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიში ქვეყნდება რთულ და გამოწვევებით სავსე პერიოდში. მსოფლიოში კიდევ უფრო მეტი რყევა და ცვლილებაა მოსალოდნელი. ამიტომ თავი მოვეყარეთ ინფორმაციას და ცოდნას, რომელიც, ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობს ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს გლობალურ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ქმედებებს.

ბანგაშის (SOS) სიბნელი ბუნებისათვის

ბიომრავალფეროვნება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლისათვის და დღეს უდავოა, რომ ჩვენ მას უპრეცედენტო ტემპით ვანადგურებთ¹².



ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული, ადამიანის საქმიანობა სულ უფრო მეტად ანადგურებს და აუარესებს ტყეებს, მინდვრებს, ჭარბტენიან ტერიტორიებსა და სხვა მნიშვნელოვან ეკოსისტემებს და საფრთხეს უქმნის ადამიანების კეთილდღეობას. ყინულის საფარისგან თავისუფალი დედამიწის ზედაპირის 75% უკვე მნიშვნელოვნად შეიცვალა, ოკეანეების უმეტესობა დაბინძურებულია, ხოლო ჭარბტენიანი ტერიტორიების 85%-ზე მეტი დაიკარგა.



უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხმელეთზე ბიომრავალფეროვნების კარგვის ყველაზე მნიშვნელოვანი განმაპირობებელი პირდაპირი ფაქტორი მიწათსარგებლობის ცვლილებაა, ძირითადად კი პირველქმნილი ბუნებრივი ჰაბიტატების სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გარდაქმნა, ხოლო ოკეანეების უდიდეს ნაწილში კი ხდება გადაჭარბებული თევზჭერა. დღემდე მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების კარგვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კლიმატის ცვლილება არ ყოფილა, თუმცა, პროგნოზის მიხედვით, მომავალ ათწლეულებში იგი ისეთივე ან უფრო მნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე სხვა ფაქტორები.



ბიომრავალფეროვნების კარგვა მხოლოდ გარემოსდაცვითი პრობლემა არ არის; იგი იმავდროულად განვითარების, ეკონომიკის, მსოფლიო უსაფრთხოების, ეთიკური და მორალური პრობლემაა. ეს თვითგადარჩენის საკითხიც არის. ბიომრავალფეროვნება კრიტიკულ როლს ასრულებს საკვების, ბოჭკოების, წყლის, ენერგიის, სამედიცინო/სამკურნალო საშუალებების და სხვა გენეტიკური მასალების უზრუნველყოფაში და უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი კლიმატის, წყლის ხარისხის, დაბინძურების, დამტვერვის, წყალდიდობების კონტროლის და დატბორვის რეგულირებისათვის. ამას გარდა, ბუნება საფუძვლად უდევს ადამიანის ჯანმრთელობის ყველა ასპექტს და ხელს უწყობს - არამატერიალური სახით - შთაგონებასა და სწავლას, ფიზიკურ ყოფას და ფსიქოლოგიურ განცდებს და ჩვენი თვითმყოფადობის ფორმირებას - რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სიცოცხლის ხარისხისა და კულტურული თვითმყოფადობისათვის.




პოპულაციების დონეზე: რას გვიჩვენებს პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსი 2020 წელს?

სახეობათა პოპულაციების ტენდენციები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი მთლიანობაში ეკოსისტემის ზოგადი სიჯანსაღის საზომია. პოპულაციების მნიშვნელოვანი კლების ტენდენციები ბუნების განადგურების მაჩვენებელია.

პლანეტაზე სიცოცხლის ამჟამინდელი ინდექსი ეფუძნება მთელ მსოფლიოში ძუძუმწოვრების, ფრინველების, თევზების, რეპტილიებისა და ამფიბიების დაახლოებით 21,000 პოპულაციის შესახებ არსებულ მონაცემებს. აღნიშნული პოპულაციების ტენდენციები ერთად არის თავმოყრილი პლანეტის სიცოცხლის ინდექსის ფარგლებში, რათა მოხდეს 1970 წლიდან პოპულაციებში ცვლილებების საშუალო პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა ინდექსის გამოყენებით (სურათი 1). მიმდინარე წლის ინდექსი თითქმის 400 ახალ სახეობას და 4,870 ახალ პოპულაციას მოიცავს.

2018 წელს პლანეტაზე სიცოცხლის ბოლო ინდექსის გამოქვეყნებიდან, წარმოდგენილი სახეობების რაოდენობა გაუმჯობესდა რეგიონებისა და ტაქსონომიური ჯგუფების უმეტესობისთვის; ყველაზე დიდი ზრდა ამფიბიათა სახეობებში დაფიქსირდა. ამჟამად, პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსი მოიცავს მხოლოდ ხერხემლიანი სახეობების მონაცემებს, ვინაიდან, ისტორიულად, მათი მონიტორინგი უკეთ ხდებოდა. მიმდინარეობს მუშაობა უხერხემლოთა შესახებ მონაცემების ჩართვაზეც, რათა გავაფართოოთ ჩვენი ცოდნა და უკეთ გავერკვეთ ველური სახეობების პოპულაციებში მიმდინარე ცვლილებებზე.

2020 წელს პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსის მიხედვით, გამოვლინდა საშუალოდ 68%-იანი (დიაპაზონი: -73%-დან -62%-მდე) კლება ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიების, რეპტილიებისა და თევზების იმ პოპულაციებში, რომელთა მონიტორინგი ხორციელდებოდა 1970 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში¹.



სურათი 1: პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსი 1970-2016 წლების მონაცემების მიხედვით.
მთელ მსოფლიოში 68%-ით შემცირდა 4,392 სახეობის 20,811 პოპულაციის საშუალო რიცხოვნობა. თეთრი საზღვარი გვიჩვენებს ინდექსის მნიშვნელობებს, ხოლო შეფერილი უბნები წარმოადგენს ტენდენციის სტატისტიკურ სარწმუნოებას (დიაპაზონი: -73%-დან -62%-მდე).
წყარო: WWF/ZSL (2020)¹.

პირობით ნიშნები



- პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსი
- სარწმუნოების ზღვარი

ბიომრავალფეროვნების შემცირების ტემპი განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას


პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსი მთლიან სურათს არ გვიჩვენებს - არსებობს განსხვავებები რიცხოვნობის ტენდენციებში რეგიონების მიხედვით; კლების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ტროპიკულ ზონებში.

პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსის 94%-იანი კლება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ სუბრეგიონებში ბევრად მაღალია, ვიდრე რომელიმე სხვა რეგიონში. ძირითადი ფაქტორებია მდელოების, სავანების, ტყეებისა

და ჭარბტენიანი ტერიტორიების გარდაქმნა, სახეობების გადაჭარბებული მოპოვება, კლიმატის ცვლილება და უცხო სახეობების შემოღება.



სურათი 2: პლანეტაზე ბიოცეზლის ინდექსი IPBES-ის თითოეული რეგიონისათვის. თეთრი ხაზი ასახავს ინდექსის მნიშვნელობებს, შეფერილი უბნები კი წარმოადგენს ტენდენციის სტატისტიკურ სარწმუნოებას (95%). ყველა ინდექსი შეწონილია სახეობების სიუხვის მიხედვით, შესაბამისად, უზესახეობებიან ტაქსონომიურ ჯგუფებს ხმელეთის და მტკნარი წყლების სისტემებში უფრო მეტი წონა აქვთ მინიჭებული, ვიდრე იმ ჯგუფებს, სადაც უფრო ნაკლები სახეობაა. რეგიონების რუკა: IPBES (2015)2. LPR data: WWF/ZSL (2020)1.



პლანეტაზე მტკნარი წყლის სიცოცხლის ინდექსი


მტკნარი წყლების ბიომრავალფეროვნება გაცილებით უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე ბიომრავალფეროვნება ოკეანეებში ან ტყეებში. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ვიცით, რომ 1700 წლიდან მსოფლიოს ჭარბტენიანი ტერიტორიების თითქმის 90% დაიკარგა⁸³. გლობალური რუკის შედგენისას გამოვლინდა, თუ რა მასშტაბით შეცვალა ადამიანმა მდინარეების მილიონობით კილომეტრი⁸⁴. ამ ცვლილებებმა უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა მტკნარი წყლების ბიომრავალფეროვნებაზე და მტკნარი წყლის სახეობათა პოპულაციების მკვეთრი შემცირება განაპირობა.

3,741 პოპულაცია, რომლებიც წარმოადგენს ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიების, რეპტილიებისა და თევზების 944 სახეობას და რომელთა მონიტორინგი ხორციელდება, საშუალოდ 84%-ით შემცირდა (დიაპაზონი: -89%-დან -77%-მდე) მტკნარი წყლის სიცოცხლის ინდექსის მიხედვით, რაც წელიწადში 4%-ის ეკვივალენტია 1970 წლიდან (სურათი 3). კლების უდიდესი ნაწილი ფიქსირდება მტკნარი წყლების ამფიბიებში, რეპტილიებში და თევზებში და ეს შეინიშნება ყველა რეგიონში, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში.

სურათი 3: პლანეტაზე მტკნარი წყლის სიცოცხლის ინდექსი 1970-2016 წლების მონაცემების მიხედვით. მთელ მსოფლიოში დაახლოებით 84%-ით შემცირდა მტკნარი წყლის 944 სახეობის 3,741 პოპულაციის საშუალო რიცხოვნობა. თეთრი ზაზი აჩვენებს ინდექსის მნიშვნელობებს, ხოლო შეფერილი უბნები წარმოადგენს ტენდენციის სტატისტიკურ სარწმუნოებას (დიაპაზონი -89%-დან -77%-მდე).
წყარო: WWF/ZSL (2020)¹.

პირობითი ნიშნები

- პლანეტაზე მტკნარი წყლის სიცოცხლის ინდექსი
- სარწმუნოების ზღვარი



რაც უფრო დიდია ზომა, მით უფრო დიდია სხვადასხვა საფრთხე



ერთსა და იმავე ტაქსონომიურ ჯგუფში სხვა სახეობებთან შედარებით სხეულის დიდი ზომის მქონე სახეობებს ზოგჯერ „მეგაფაუნას“ უწოდებენ. მტკნარი წყლის ეკოსისტემაში მეგაფაუნას ის სახეობები განეკუთვნებიან, რომლებიც 30კგ-ზე მეტ წონამდე იზრდებიან, როგორიცაა ზუთხი და მდინარე მეკონგის გიგანტური ლოქო, მდინარის დელფინები, წავი, თახვი და ბეჰემოთი. ისინი ინტენსიურ ანთროპოგენულ ზემოქმედებას განიცდიან³, მათ შორისაა გადაჭარბებული მოპოვება⁴, რასაც შედეგად პოპულაციის მკვეთრი შემცირება მოჰყვა⁵. განსაკუთრებით დიდია მეგა-თევზების მოწყვლადობა. მაგალითად, 2000-2015 წლების პერიოდში, მდინარე მეკონგის აუზში თევზჭერის შედეგად სახეობათა 78%-ის შემცირება დაფიქსირდა და კლების ტენდენცია უფრო ძლიერია საშუალოდან დიდი ზომის სახეობებში⁶. დიდ თევზებზე ასევე ძლიერ ზეგავლენას ახდენს კაშხლების მშენებლობა, რაც კეტავს მათი მიგრაციის მარშრუტებს გამრავლებისა და საკვები უბნებისკენ^{7,3}.

ფოტო მარჯვენა გვერდზე:
ფლორიდის ლამანტინი (*Trichechus manatus latirostris*) ზამთარში
სითბოსთვის რჩება მტკნარ წყლებში,
Three Sisters Spring, ფლორიდა, აშშ.



© naturepl.com / Alex Mustard / WWF



პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსი ერთ-ერთია მრავალ ინდიკატორს შორის, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრი კლების ტენდენციებს გვიჩვენებს



პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსი

პლანეტაზე სიცოცხლის ინდექსი (LPI) მოიცავს ძუძუმწოვრების, ფრინველების, თევზების, რეპტილიებისა და ამფიბიების თითქმის 21,000 პოპულაციის მთელ მსოფლიოში¹. 2020 წელს პლანეტაზე სიცოცხლის გლობალური ინდექსის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა 4,392 სახეობის 20,811 პოპულაციის შესახებ მონაცემებს, გამოვლინდა საშუალოდ 68%-იანი

(დიაპაზონი: -73%-დან -62%-მდე) კლება ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიების, რეპტილიებისა და თევზების იმ პოპულაციებში, რომელთა მონიტორინგი ხორციელდებოდა 1970 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში. პროგნოზული მაჩვენებელი არ ასახავს ცალკეული სახეობის ინდივიდების რაოდენობას, არამედ იგი აჩვენებს გასული 46 წლის განმავლობაში ცხოველთა პოპულაციების ზომებში საშუალო პროპორციულ ცვლილებას.




სახეობების პაბიტატების ინდექსი

ადამიანის მიერ მიწათსარგებლობის ცვლილება და უფრო და უფრო მეტად - კლიმატის ცვლილება იწვევს ლანდშაფტების ცვლილებას მთელ მსოფლიოში. დისტანციური მონიტორინგი და მოდელირებაზე დაფუძნებული პროგნოზები მიაჩნძნებს ლანდშაფტების სულ უფრო ძლიერ, თითქმის გლობალური მასშტაბის ცვლილებებზე. სახეობების პაბიტატების ინდექსი (SHI) ასახავს პაბიტატების ცვლილებით სახეობათა პოპულაციებზე მომხდარი ზეგავლენის შედეგებს².

მსოფლიოში არსებული ათასობით სახეობისთვის ინდექსი აფასებს სახეობების არეალების კარგვას პირდაპირი დაკვირვებით ან მოდელირებით მიღებული შედეგების საფუძველზე³. 2000 და 2018 წლებს შორის ინდექსი 2%-ით შემცირდა, რაც მიუთითებს სახეობებისათვის მათ პაბიტატებთან მისაწვდომობის შემცირების ტენდენციას. შერჩეული რეგიონებისა და სახეობებისათვის სახეობათა პაბიტატების ინდექსის კლება გაცილებით უფრო მკვეთრია: ორნიშნა მაჩვენებლიანი პროგნოზული კლება მეტყველებს მთლიანი პოპულაციის მნიშვნელოვან შემცირებაზე და, შესაბამისად, სახეობების ეკოლოგიური როლების შემცირებაზეც.

კაცობრიობის ზეგავლენა ბუნების მრავალფეროვნების შემცირებაზე იმდენად მაღალია, რომ მეცნიერების აზრით, ჩვენ შევდივართ ახალ გეოლოგიურ ეპოქაში - ანთროპოცენში. ბიომრავალფეროვნების ყველა ცოცხალი ნაირსახეობის, შეფასება კომპლექსური პროცესია და არ არსებობს


რომელიმე ერთი საზომი ან კრიტერიუმი, რომელსაც შეუძლია სრულად მოიცვას და ასახოს ყველა ცვლილება სიცოცხლის მთლიან სისტემაში. ინდიკატორების უმეტესობა ცხადყოფს, რომ ბიომრავალფეროვნება შემცირებულია ბოლო ათწლეულების განმავლობაში.



წითელი ნუსხის ინდექსი

წითელი ნუსხის ინდექსი (RLI), რომელიც ეფუძნება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა წითელ ნუსხას⁸⁵, გვიჩვენებს დროთა განმავლობაში სახეობათა გადარჩენის ალბათობის ტენდენციებს (გადაშენების რისკის საპირისპიროდ)⁸⁶. წითელი ნუსხის ინდექსის მაჩვენებელი 1.0 მოიცავს იმ სახეობებს, რომლებიც დღეს ნაკლები

საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ჯგუფში მოიაზრებიან (ე.ი. არ არის მოსალოდნელი მათი გადაშენება უახლოეს მომავალში). ინდექსის მაჩვენებელი 0 მოიცავს გადაშენებულ სახეობებს. დროთა განმავლობაში ინდექსის მუდმივი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ გადაშენების რისკი უცვლელია. ბიომრავალფეროვნების კარგვის მაჩვენებელი რომ შემცირებულიყო, ინდექსის ტენდენცია მზარდი იქნებოდა. ინდექსის მაჩვენებლის შემცირება კი ნიშნავს, რომ სახეობების გადაშენების პროცესი დაჩქარებული ტემპით ხდება.



ბიომრავალფეროვნების უცვლელობის/შენარჩუნების ინდექსი

ბიომრავალფეროვნების უცვლელობის ინდექსი (BII) აფასებს, თუ კონკრეტული რეგიონის სახმელეთო ნაწილში თავდაპირველად არსებული ბიომრავალფეროვნების საშუალოდ რა ნაწილი არის შენარჩუნებული. ინდექსი კონცენტრირებულია მიწათსარგებლობის შედეგებზე და დაკავშირებულია შემოქმედებაზე, რომელიც აქამდე ბიომრავალფეროვნების კარგვის დომინანტ ფაქტორებს წარმოადგენდა.^{11,12} ვინაიდან ბიომრავალფეროვნების უცვლელობის ინდექსი ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნის სახეობების ძალიან დიდი რაოდენობიდან გამოითვლება, იგი ასევე გვიჩვენებს

ეკოსისტემების მიერ ადამიანებისათვის ეკოსისტემური სერვისების მოწოდების უნარს. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო, ბიომრავალფეროვნების უცვლელობის ინდექსი გამოიყენება პლანეტის საზღვრების კონცეფციაში როგორც ბიოსფეროს მთლიანობის ინდიკატორი¹³. ბიომრავალფეროვნების უცვლელობის ინდექსი გლობალური საშუალო მაჩვენებელი (79%) საკმაოდ დაბალია რეგიონებში, სადა უსაფრთხო ზღვარზე (90%) და კვლავ კლებულობს, განსაკუთრებით აფრიკაში¹⁴, რაც მიანიშნებს, რომ მსოფლიოს ხმელეთის ბიომრავალფეროვნება უკვე სახიფათო ზღვარზეა. BII ინდექსი ძალიან დაბალია ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა დასავლეთი ევროპა, სადაც ლანდშაფტის ინტენსიური გამოყენების დიდი ისტორია არსებობს.

ნიადაგის ბიომრავალფეროვნების გადარჩენა

ნიადაგი ბუნებრივი გარემოს უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია - ამის მიუხედავად, ადამიანების უმრავლესობამ საერთოდ არ იცის ან სათანადოდ არ აფასებს იმ კრიტიკულ როლს, რომელსაც ნიადაგის ბიომრავალფეროვნება ასრულებს ეკოსისტემის სერვისებში, რომლებზეც ჩვენ ვართ დამოკიდებული.

ნიადაგი დედამიწაზე ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი უდიდესი რეზერვუარია: ხმელეთის ეკოსისტემებში ცოცხალი ორგანიზმების 90%-მდე, მათ შორის ზოგიერთი პოლინატორი, თავიანთი სასიცოცხლო ციკლის ნაწილს ნიადაგის ჰაბიტატებში ატარებს⁷⁵. ნიადაგის სხვადასხვა კომპონენტი, რომელიც სავსეა ჰაერით და წყლით, ქმნის ჰაბიტატების გასაოცარ მრავალფეროვნებას ნიადაგის მრავალი სხვადასხვა ორგანიზმისათვის, რომელიც პლანეტაზე ჩვენი სიცოცხლისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ნიადაგის ბიომრავალფეროვნების გარეშე ხმელეთის ეკოსისტემები შეიძლება განადგურდეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნიადაგის ბიომრავალფეროვნება კავშირშია მის ზემოთ არსებულ ბიომრავალფეროვნებასთან¹⁵⁻¹⁷ და ამგვარ პროცესებთან დაკავშირებით გაუმჯობესებული ცოდნა დაგვეხმარება ბიომრავალფეროვნების ცვლილებისა და კარგვით გამოწვეული პროცესების უკეთ პროგნოზირებაში.

სურათი 4: ნიადაგის

თანასაზოგადოება


ნიადაგის ბიომრავალფეროვნება საფუძვლად უდევს ხმელეთის ეკოსისტემებს (სასოფლო-სამეურნეოს, ურბანულს, ბუნებას და ყველა ბიომს, მათ შორის ტყეებს, მდელოებს, ტუნდრას და უდაბნოებს)

მეგაფაუნა
MEGAFaUNA

მაკროფაუნა
MACROFaUNA

მეზოფაუნა
MEZOFaUNA



მიკრობები და მიკროფაუნა
MICROBES & MICROFaUNA




ქრებიან თუ არა „პატარა არსებები, რომლებიც თავიანთ როლს ასრულებენ დედამიწის ფუნქციონირებაში“?

არსებობს მტკიცებულებები, რომ უკანასკნელ პერიოდში სწრაფად შემცირდა მწერების რაოდენობა, მრავალფეროვნება და ბიომასა, თუმცა სურათი კომპლექსურია და მტკიცებულებების უდიდესი ნაწილი მომდინარეობს მცირე რაოდენობით ტაქსონებიდან და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნებიდან.

ე.ო. უილსონმა აღწერა ისინი როგორც „პატარა არსებები, რომლებიც მართავენ დედამიწას“¹⁸. დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მწერების მონიტორინგის სქემები და გრძელვადიანი კვლევები აჩვენებს უკანასკნელ პერიოდში მწერების რაოდენობის, განაწილებისა თუ კოლექტორული წონის (ბიომასის) ძალზე სწრაფად მიმდინარე შემცირებას. იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ინტენსიურად უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე სხვა რეგიონებში¹⁹, სავარაუდოდ, მწერების იქ დაფიქსირებული კლება წარმოადგენს მსოფლიოს სხვა ნაწილებში მწერების შემცირების პროგნოზს, თუ გაგრძელდება ანთროპოგენული ჩარევა და მიწათსარგებლობის ცვლილება. მწერების პოპულაციის ცვლილების ამჟამინდელი და მომავალი დონეების გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მასშტაბური მონიტორინგის დაწყება.



სურათი 5: გრძელვადიან პერსპექტივაში ზმელეთის მწერების რაოდენობის (რიცხოვნობის ანუ ბიომასის) ცვლილების პროგნოზი 103 კვლევის შედეგად, რომლებიც განხილული იქნა ვან კლინკის და სხვ. მიერ (2020)⁷⁷. კვლევების სამი მეოთხედი (77/103) ჩატარდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სულ რამდენიმე - აფრიკაში (1), აზიაში (5), რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის გამოკლებით) და სამხრეთ ამერიკაში (3). სურათზე ნაჩვენებია პისტოგრამა მონაცემებით, სულ მცირე ერთი მონაცემით ყოველი წლისათვის.



პირობითი ნიშნები

ტენდენციის მრუდი

შემცირება ზრდა

მცენარეთა მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი შემცირება

მცენარეები ხმელეთის ფაქტობრივად ყველა ეკოსისტემის სტრუქტურული და ეკოლოგიური საფუძველია და უაღრესად მნიშვნელოვანია დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ ადამიანის ჯანმრთელობის, საკვებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში²⁰.

Nymphaea thermarum,
მსოფლიოს ყველაზე პატარა
წყლის ლილია, რომელიც
მხოლოდ რუანდაში იზრდება,
ცხელი წყაროს მიმდებარედ.
ბოლო მცენარე დაჭკნა და
გახმა, როდესაც 2008 წელს
ცხელი წყლის წყაროს მკვებავი
ნაკადი მიმართეს ადგილობრივი
აგრარული წარმოებისათვის.
Ex situ კოლექცია დაცულია
კიუს სამეფო ბოტანიკურ ბაღში
იმ იმედით, რომ თუ მოხერხდა
ამ ფაქტში პაბიტატის აღდგენა,
შესაძლებელი იქნება მისი
ხელახლა გაშენება.



© Andrew McRobb - Trustees of the Royal Botanic Gardens Kew

მცენარეთა მრავალფეროვნების
დაკარგვა ემუქრება არა
მხოლოდ მცენარეებს და მათ
ეკოსისტემებს, არამედ, ასევე,
მთელ რიგ ფასდაუდებელ
სერვისებსაც, რომლებსაც
მცენარეები სთავაზობენ
ადამიანებს და პლანეტას.

ყავა არაბიკა (*Coffea arabica*)
მსოფლიოში ყველაზე
პოპულარული ყავის მარცვალია.
გადაშენების რისკის შეფასებაში,
რომელშიც კლიმატის
ცვლილების სავარაუდო
ზეგავლენა აისახა, ყავა არაბიკა
გადაშენების საფრთხის
კატეგორიაში მოექცა, ვინაიდან,
პროგნოზის მიხედვით, 2088
წლისათვის მისი ბუნებრივი
პოპულაციის ნახევარზე მეტი
აღარ იარსებებს²³.



© Jenny Williams, RBG Kew

მცენარეთა გადაშენების რისკი ძუძუმწოვრების გადაშენების რისკის მსგავსია და უფრო მაღალია, ვიდრე ფრინველების გადაშენების რისკი. მცენარეთა გადაშენების დოკუმენტირებული რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე ძუძუმწოვრების, ფრინველების და ამფიბიებისა ერთად²¹. ამას გარდა, ათასობით სახეობის შეფასება, რომელიც ფართოდ წარმოადგენს მცენარეთა გლობალური მრავალფეროვნების ტაქსონომიურ მხარეს და გეოგრაფიულ გავრცელებას, აჩვენებს, რომ ყოველ მეხუთე სახეობას (22%) ემუქრება გადაშენება. აქედან უმეტესობა ტროპიკულ ზონებშია²².



ხემცენარეების პირველი გლობალური შეფასება მოიცავს მთელ დედამიწაზე ცნობილ 60,000 სახეობას და გვთავაზობს მსოფლიოს ხემცენარეების კონსერვაციის სტატუსის სრულ სურათს²⁴. ხეების გარდა, შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება სხვა ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემებისათვისაც, რომელთა არსებობა ხეებზეა დამოკიდებული; აღნიშნული შედეგები საფუძვლად დაედება კონსერვაციის ღონისძიებებს ბიომრავალფეროვნების მართვის, აღდგენისა და გადარჩენისათვის.

Terminalia acuminata, ცნობილი როგორც Guarajuba, ბრაზილიის ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობაა. მანამდე მიიჩნეოდა, რომ იგი ველურ ბუნებაში გადაშენდა, თუმცა ხელახლა აღმოაჩინეს მსოფლიო ხემცენარეების შეფასების ფარგლებში ხელმეორედ შეფასებისას.




თესლის ბანკებში მთელ მსოფლიოში დაახლოებით 7 მილიონი კულტურის ნიმუშები ინახება, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას და გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ასეულობით ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო თესლის ბანკი შეიქმნა. ალბათ ყველაზე ცნობილი ბანკი - სვალბარდის თესლის მსოფლიო საცავი ნორვეგიაში - უზრუნველყოფს დამხმარე მომსახურებას, თუ თესლის სხვა ბანკებში პრობლემა წარმოიქმნება. თესლის ბანკებს იყენებენ მკვლევარები და აგრარომ-სელექციონერები კულტურათა ახალი, გაუმჯობესებული სახეობების გამოსაყვანად.

სვალბარდის თესლის მსოფლიო საცავი, სვალბარდის არქიპელაგი, ნორვეგია.

© Svalbard Global Seed Vault / Riccardo Gangale

ჩვენი სამყარო 2020 წელს

გასული 50 წლის განმავლობაში მსოფლიო შეიცვალა - გაიზარდა გლობალური ვაჭრობა, მოხმარება და მოსახლეობის რაოდენობა და ასევე, მნიშვნელოვნად მზარდია ურბანიზაცია. აღნიშნულმა პროცესებმა, თავის მხრივ, ადამიანის ცხოვრებაც წარმოუდგენლად შეცვალა. თუმცა ყოველივე ეს უდიდეს დარტყმას აყენებს ბუნებასა და დედამიწის ფუნქციონირების სისტემებს, რომლებიც ჩვენი არსებობისათვის აუცილებელია.



პირობითი ნიშნები

- განვითარებული ეკონომიკა
- განვითარებული ეკონომიკა
- ყველაზე ნაკლებად განვითარებული ეკონომიკა
- მსოფლიო

სურათი 6: განვითარების გზები 1970 წლიდან, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში არათანაბარ სარგებელსა და ტვირთს ასახავს. მშპ-ს ყველაზე დაბალი ზრდა დაფიქსირდა აშშ-ში და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (ა), ხოლო შედარებით უფრო განვითარებულ ქვეყნებში გაზრდილია მოხმარებამ გაზარდა ბუნებრივი ცოცხალი მასალის მოპოვება, რომელიც დიდ წილად განვითარებადი ქვეყნებიდან მოდის (ბ) და ბიომრავალფეროვნების ძირითადი ტერიტორიების დაკვა ყველაზე მაღალი იყო განვითარებულ ქვეყნებში (გ). მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა უფრო სწრაფად გაიზარდა განვითარებადი ქვეყნებში (დ), ხოლო ურბანული მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე მაღალია განვითარებულ ქვეყნებში და ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (ე). ბავშვების სიკვდილიანობა მკვეთრად შემცირდა მთელ მსოფლიოში, თუმცა გამოწვევები რჩება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (ვ).

წყაროები: Modified from World Bank (2018)27, IPBES (2019)26.

წითელი პლასტმასა, რომელიც მცირე ნაწილია იმ პლასტმასის დამამბინებლებებისა, რომლებიც შეაგროვა რეიმის ნახევარკუნძულის სანაპიროს მოვლის ჯგუფმა უთისენდის ყურეში, კორნუოლში.



© Sam Hobson / WWF-UK

კაცობრიობის მიერ ყოველ წელს ხდება ბიოლოგიური ბიუჯეტის გადახარჯვა


1970 წლიდან ადამიანების ეკოლოგიური კვალი აღემატება დედამიწის აღდგენის ტემპს. ეს გადახარჯვა ანგრევს პლანეტის სიჯანსაღეს და, ამასთან ერთად, კაცობრიობის სამომავლო პერსპექტივას.

ადამიანის მოთხოვნა და ბუნებრივი რესურსები დედამიწაზე არათანაბრად არის განაწილებული. ადამიანის მიერ ამ რესურსის მოხმარების მოდელი განსხვავდება რესურსის ხელმისაწვდომობისაგან, ვინაიდან რესურსების მოხმარება არ ხდება მათი მოპოვების

სურათი 7: ერთ ადამიანზე მოხმარების ეკოლოგიური კვალის მსოფლიო რუკა 2016 წელს


ეკოლოგიური კვალი ერთ ადამიანზე გამოითვლება ქვეყანაში მოსახლეობის მთლიანი რაოდენობისა და მოხმარების მანველებლით. ქვეყანაში მოხმარება მოიცავს მის შიდა ეკოლოგიურ კვალს დამატებული იმპორტი სხვა ქვეყნებიდან და მინუს ექსპორტი. წყარო: Global Footprint Network (გლობალური კვალის ქსელი) (2020)³¹.

პირობით ნიშნები



ადგილებში. ეკოლოგიური კვალი ერთ ადამიანზე, ქვეყნების მიხედვით, გვიჩვენებს ქვეყნებში რესურსებთან დაკავშირებულ ვითარებას, რისკებსა და შესაძლებლობებს²⁸⁻³⁰. ეკოლოგიური კვალის განსხვავებული დონეები განპირობებულია ცხოვრების განსხვავებული სტილითა და მოხმარების განსხვავებული


მოდელებით, მათ შორის იმ საკვების, საქონლისა და მომსახურების რაოდენობით, რომლებსაც მოიხმარს მოსახლეობა, მოხმარებული ბუნებრივი რესურსით და ამ საქონლისა და მომსახურების მიწოდების პროცესში გამოყოფილი ნახშირორჟანგით.



დედამინაზე ველურად შემორჩენილი ტერიტორიების რუკა

უახლესი თანამგზავრული ტექნოლოგიები შესაძლებლობას გვაძლევს, რეალურ დროში თვალნათლივ დავინახოთ, თუ როგორ იცვლება დედამიწა. ადამიანის კვალის რუკაზე ასახვა გვაჩვენებს, თუ რომელ ადგილებში ვახდენთ ან არ ვახდენთ ზეგავლენას დედამიწაზე. უახლესი

სურათი 8: ფართო მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოყენებული იყო ადამიანის კუმულაციური ზემოქმედების რუკისათვის - ადაპტირებულია Watson, and Venter -დან (2019)³³.




რუკა ცხადყოფს, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში - რუსეთში, კანადაში, ბრაზილიასა და ავსტრალიაში - არის კონცენტრირებული ადამიანის ზეგავლენის გარეშე დარჩენილი ადგილების უმეტესობა, ჩვენი პლანეტის ველურად შემორჩენილი სმელეთის ტერიტორიები³².

პირობითი ნიშნები

დაზიანებული	ხელუხლებელი	ველური ბუნება
მაღალი: 50 დაბალი: 4	მაღალი: 1 დაბალი: 4	მაღალი: 0 დაბალი: 1

სურათი 9:

სმელეთის თითოეული იმ ბიომის პროპორციული წილი (ანტარქტიკის გამოკლებით), რომელიც მიიჩნევა ველურად შემორჩენილ ადგილად (მუქი მწვანე, ადამიანის კვალი <1), ხელუხლებლად (ღია მწვანე, ადამიანის კვალი <4) ან ადამიანის მიერ ძლიერ შეცვლილად (წითელი, ადამიანის კვალი >4 ან უდრის 4-ს). ადაპტირებულია Williams, et al. (2020)-დან ³².



ჩვენი ოკეანე „ცხელ წყალშია“

გადაჭარბებულმა თევზჭერამ,
დაბინძურებამ და სანაპიროს
განვითარებამ, სხვა ფაქტორებთან

ცვლილების ფაქტორი

პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა

თევზჭერა



გადაჭარბებული მოპოვება, შემთხვევით სხვა (არა სამიზნე) სახეობების თანჭერა, ზღვის ფსკერის ჰაბიტატის განადგურება ზღვის ფსკერზე ბადით თევზჭერის შედეგად, უკანონო, დაურეგულირებელი და ალურისცხავი თევზჭერა, აკვარიუმებისათვის ორგანიზმების გასაყიდად შეგროვება.

კლიმატის ცვლილება



წყლების დათბობა, ოკეანის მჟავიანობის მატება, გამრდილი ზონები, სადაც ჟანგბადის მინიმალური დონეა, გახშირებული საგანგებო მოვლენები, ცვლილება ოკეანის დინებებში.

ხმელეთთან დაკავშირებული დაბინძურება



საკვების დაბინძურება, დამაბინძურებლები, როგორიცაა მძიმე ლითონები, მიკრო და მაკრო პლასტმასის მასალა.

ოკეანესთან დაკავშირებული დაბინძურება



ნარჩენებით დაბინძურება, გემებიდან საწვავის გაჟონვა და ჩაშვება, ნავთობის დაღვრა პლატფორმებიდან, ხმაურით დაბინძურება.

სანაპიროს განვითარება



ჰაბიტატების განადგურება, გამრდილი გემოქმედება ადგილობრივ სანაპირო ზოლებზე, გამრდილი დაბინძურება და ნარჩენები.

ინვაზიური უცხო სახეობები



ინვაზიური სახეობების შემთხვევით (მაგ., ბალასტური წყლით) ან განზრახ შემოტანა; უფრო მეტად სავარაუდოა კლიმატით განპირობებული ინვაზიები.

ღია ზღვის ინფრასტრუქტურა



ზღვის ფსკერზე ფიზიკური ჩარევა, ჰაბიტატის სტრუქტურის შექმნა.

ტრანსპორტირება



გემების/მცურავი საშუალებების შეჯახება, დაბინძურება ჩაშვების შედეგად.

ზღვის კულტურა (ზღვის ორგანიზმების აქვაკულტურა)



აქვაკულტურის ობიექტების ფიზიკურად არსებობა, დაბინძურება.

ღრმა წყლებში ნიაღვისეულის მოპოვება



ზღვის ფსკერის განადგურება, ზღვის ფსკერზე დაღეჟვა, გაჟონვის და ქიმიური ნივთიერებების დაღვრის, ხმაურით დაბინძურების საფრთხე.

ერთად, ზეგავლენა მოახდინა მთელ ოკეანეებზე, როგორც ზედაპირულ, ისე ღრმა წყლებზე, ხოლო კლიმატის ცვლილება კვლავ მთელ რიგ და სულ უფრო მეტ გამოწვევას შეუქმნის ზღვის ეკოსისტემებს.

ეკოლოგიური შედეგების მაგალითები

პოპულაციების შემცირება, ეკოსისტემის ცვლილება და ტროფიკული კასკადები, სხეულის ზომის შემცირება, სახეობების გადაშენება, განუზრუნველი და უკონტროლო თევზჭერა და ინდივიდების დახოცვა დაკარგული ან გადაყრილი თევზსაჭერი მონყობილობების გამო.

რიფების განადგურება, სახეობების გადაადგილება გამთბარი წყლებიდან, ცვლილებები ეკოლოგიურ პროცესებსა და მეტაბოლიზმში, ცვლილებები ადამიანების ქმედებებთან (მაგ., თევზჭერა, ხომალდების შეჯახება) კავშირში, რადგან ორგანიზმები იცვლიან ადგილს და სივრცის გამოყენებას, ცვლილებები ოკეანის ცირკულაციის მოდელებში და პროდუქტიულობაში, ცვლილებები ავადობის მაჩვენებელში და ბიოლოგიური პროცესების დროებში.

წყალმცენარეების ყვავილობა და თევზების დახოცვა, ტოქსინების დაგროვება კვების ქსელში, პლასტმასის და სხვა მყარი ნარჩენების ჩაყლაპვა და მათში გახლართვა.

მომნამველი ზეგავლენა ზღვის ორგანიზმებზე, ხმაურით გამოწვეული ზეგავლენა ზღვის ცხოველების ქცევაზე.

ჰაბიტატების შემცირება, მაგალითად, როგორიცაა მანგროვის ტყე, ზღუდავს სანაპირო ჰაბიტატების და იქ მცხოვრები სახეობების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის უნარს.

ინვაზიურმა სახეობებმა შესაძლოა განდევნონ ადგილობრივი სახეობები, დაარღვიონ ეკოსისტემები და გამოიწვიონ ადგილობრივი ან გლობალური გადაშენება.

ადგილობრივი ზღვის ფსკერის ჰაბიტატის განადგურება, სტრუქტურების შექმნა, სადაც ორგანიზმები გროვდებიან.

ზეგავლენა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზღვის ძუძუმწოვრების პოპულაციებზე, დაბინძურების სხვა სახის ზეგავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე.

შესაძლებელია საკვები ნივთიერებების დაგროვება და წყალმცენარეების ყვავილობა, დაავადებები, ანტიბიოტიკების გამოყენება, ტყვეობაში გამრავლებული აქვაკულტურის ინდივიდების ველურ გარემოში მოხვედრა და ადგილობრივ ეკოსისტემაზე გავლენა.

ჰაბიტატების (მაგ., ცივი-წყლის მარჯნების) და ზღვის ბენთოსური შრის განადგურება, ორგანიზმების შესაძლო დახოცვა ფსკერზე დალექილი დამაბინძურებლების ზემოქმედების შედეგად.

ხურათი 10:

ზღვის ეკოსისტემებში ცვლილებების ანთროპოგენული ფაქტორები, ნეგატიური ზეგავლენა და პოტენციური ეკოლოგიური შედეგების მაგალითები. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება შერბილდეს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საზოგადოებისათვის სარგებელთან შედარებით. ღრმა წყლებში წიაღისეულის მოპოვებისათვის ზეგავლენა ამ ეტაპზე პროგნოზირებადია. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ფაქტორების გავლენა შესაძლოა განსხვავდებოდეს და იყოს ან ძალიან ლოკალური, ან გლობალური და მასშტაბური. წყარო - IPBES (2019)²⁶ და იქ გამოყენებული ლიტერატურა.


კლიმატის ცვლილების რისკები ბიომრავალფეროვნებისათვის

ამ საუკუნეში, მხოლოდ კლიმატის ცვლილების გამო, ველური სახეობების დაახლოებით ერთ მეხუთედს ემუქრება გადაშენების რისკი, თუნდაც მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების შემთხვევაში. გადაშენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილებშია“ მოსალოდნელი.

სურათი 11: კლიმატის ცვლილება სახეობებზე შეიძლება აისახოს ხუთი მექანიზმით, პოზიტიური, ნეგატიური და კომბინირებული სახით. თითოეული სახეობის მგრძნობიარობაზე და ამ ზემოქმედებისადმი ადაპტაციის უნარზე გავლენას ახდენს მისი უნიკალური ბიოლოგიური მახასიათებლები და სიცოცხლის ისტორია. ერთად აღებული, ეს სხვადასხვა ზემოქმედება, მექანიზმები, სენსიტიურობა და ადაპტაციის უნარი, გავლენას ახდენს თითოეული სახეობის მოწყვლადობაზე გადაშენებისადმი (ადაპტირებულია Foden, et al.-დან (2018) ³⁴).

სულ რაღაც 30 წლის წინ კლიმატის ცვლილების გავლენა სახეობებზე ძალზე იშვიათი იყო, დღეს კი ეს ჩვეულებრივი ამბავია. ზოგიერთი სახეობა შედარებით დაცულია ცვლილებებისაგან (მაგ., ღრმა წყლის თევზები), ხოლო სხვები (მაგ., არქტიკის და ტუნდრის სახეობები) უკვე დგანან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უზარმაზარი ზემოქმედების წინაშე. ეს ზემოქმედება სახეობებზე გავლენას სხვადასხვა მექანიზმებით ახდენს და მათ შორის არის პირდაპირი ფიზიოლოგიური სტრესი, ჰაბიტატის დაკარგვა, სახეობათა შორის ურთიერთობების (მაგ., როგორიცაა დამტვერვა ან ურთიერთკავშირი მტაცებელსა და მსხვერპლ სახეობებს შორის) ცვლილება და სასიცოცხლო ციკლის მთავარი მოვლენების (როგორიცაა მიგრაცია, გამრავლება ან ფოთლების გამოტანა) დროის ცვლილება (სურათი 11)³⁴.

ბოლოდროინდელი კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მფრინავ მელიებზე და ვირთხაზე (Bramble Cay melomys) აჩვენებს, თუ რაოდენ სწრაფად შეიძლება გამოიწვიოს კლიმატის ცვლილებამ პოპულაციის მკვეთრი შემცირება და მიგვანიშნებს ნაკლებად შესამჩნევ ზიანზე შედარებით ნაკლებად თვალშისაცემ სახეობებზე (იხ. უჯრები).



პირველი ძუძუმწოვრის გადაშენება კლიმატის ცვლილების გამო




The Bramble Cay melomys (*Melomys rubicola*) - პირველი ძუძუმწოვარი, რომელიც გადაშენდა უშუალოდ კლიმატის ცვლილების შედეგად, Bramble Cay, ტორესის სრუტის კუნძულები, ავსტრალია.

2016 წელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა The Bramble Cay melomys-ის (*Melomys rubicola*) გადაშენებულად გამოცხადებას მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ტორესის სრუტეში 5 კექტარზე ჩატარდა მარჯნის მეჩენზე ინტენსიური კვლევები, სადაც ეს სახეობა ბინადრობდა. ეს არის პირველი

ცნობილი ძუძუმწოვრის გადაშენება, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან³⁵. ეს მღრღნელი გაქრა. თუმცა იგი დარჩება მუდმივ შესხენებად იმისა, რომ კლიმატის ცვლილებაზე შესაბამისი რეაგირების დაუყოვნებლივ დაწყება გადაუდებელი აუცილებლობაა³⁶.

ტემპერატურა იწევს, ღამურები იხოცებიან



მფრინავი მელიების (*Pteropus conspicillatus*) კოლონია მზის ჩასვლისას, ავსტრალია. მფრინავი მელიები ღამეს მასიურად ერთად ათევენ და განცალკევებულად მცხოვრები სახეობებისგან განსხვავებით, მათ შემთხვევაში უფრო იოლია, ექსტრემალური მოვლენების შემოქმედების განსაზღვრა პოპულაციის დონეზე.

მფრინავ მელიებს (*genus Pteropus*) ფიზიოლოგიურად არ შესწევთ 42°C ³⁷ - ზე მაღალი ტემპერატურის ატანის უნარი. გამკლავების მათი ჩვეული ქცევა, როგორიცაა ჩრდილის მოძიება და ჰიპერვენტილაცია, არ არის საკმარისი მომატებულ ტემპერატურაზე მათი გაგრილებისთვის და ისინი იწყებენ შეჯგუფებას, ცდილობენ რა სიცხისაგან

გაქცევას. ხეებიდან ჩამოვარდნისას მრავალი მათგანი დაზიანებებს იღებს, ან იხლართება და კვდება. მიიჩნევა, რომ 1994 წ-დან 2007 წლამდე პერიოდში სითბური ტალღების შედეგად დაიხოცა 30,000-ზე მეტი მფრინავი მელია, 100,000 ზე ნაკლები რაოდენობის მსოფლიო პოპულაციის სულ მცირე ორი სახეობიდან^{37,38}.

ჩვენი უსაფრთხოების გარე თითქმის განუყვანის პირას არის


ადამიანები ბუნებას მრავალი სხვადასხვა სახით
აფასებენ და ამ შეფასებათა ერთობლიობით
შესაძლებელია პოლიტიკის ფორმირება, რომელიც
შექმნის ჯანსაღ და მედეგ პლანეტას ადამიანებისა და
ბუნებისათვის.

ბუნების წვლილი ადამიანების ცხოვრებაში
გულისხმობს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ
ასპექტებს, რომლებიც მოქმედებს ადამიანების
ცხოვრების ხარისხზე⁴⁰. კონცეფცია „ბუნების
წვლილი ადამიანებისთვის“ (*Nature's contribution
to People*) ფართოდ ასახავს თუ რამდენად არის
დამოკიდებული ადამიანი ბუნებაზე და მის მიერ
მოწოდებულ ეკოსისტემურ სერვისებზე. ეს
კონცეფცია ასევე აღიარებს ცენტრალურ როლს,
რომელსაც კულტურა თამაშობს ადამიანებსა და
ბუნებას შორის კავშირის ჩამოყალიბებაში. იგი
ასევე მეტ მნიშვნელობას ანიჭებს და ხაზს უსვამს
ადგილობრივი ცოდნის როლს^{40,26}. ცხრილში
წარმოდგენილია ბუნების ზოგიერთი წვლილის
გლობალური ტენდენციები 1970 წლიდან დღემდე.
იგი ჩართული იყო IPBES-ის მიერ პოლიტიკის
განმსაზღვრელი მხარეებისათვის მომზადებულ
დოკუმენტში²⁶.

სურათი 12:

გლობალური ტენდენციები
1970 წლიდან დღემდე
ბუნების წვლილის
18 კატეგორიისთვის,
რომლებზეც მონიტორინგი
წარმოებს: 1970 წლიდან,
ჩამოთვლილი 18
კატეგორიიდან 14 მათგანი
შემცირდა. (სურათის
წყარო: Díaz, et al. (2019)¹¹,
IPBES (2019)²⁶).

პირობითი ნიშნები



გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირება



რის ურთიერთობა უზრუნველყოფა



არამატერიალური
რესურსები



კუთხის წვლილი ადამიანთა თვისებების	50 წლიანი გლობალური ტენდენციები	გაგრძელებული ინდიკატორები
კავშირების შექმნა და შენარჩუნება		- ხელსაყრელი პატივების გავრცელების არეალი - ხელუხლებელი ბიომრავალფეროვნება - დამამტვრევინებლების მრავალფეროვნება
დაცვა და ტერიტორია თვლისა და სხვა აღმოჩენების გადართობა		სამეურნეო მიწებზე ბუნებრივი პატივების გავრცელების არეალი
კარიბის ხარისხის რეგულირება		ეკოსისტემების მიერ ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების შეკავება და პრევენცია
კლიმატის რეგულირება		ეკოსისტემების მიერ საბუნებრივი გაზების შეწოვა და ემისიების პრევენცია
ოქანის ადგილობრივი რეგულირება		ზღვისა და ხმელეთის არელების მიერ ნახშირბადის რაოდენობის შეკვების უნარი
მცენარეული წარმოების რაოდენობის, მდგრადობისა და პერიოდულობის რეგულირება		ჰაერში-მდგრადი-ხმელეთზე წყლის გადანაწილებამდე ეკოსისტემების ზემოქმედება
მცენარეული წარმოებისა და სანაღებო წარმოების ხარისხის რეგულირება		ეკოსისტემების გავრცელების არეალი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გაფილტვრას და შემადგენელი კომპონენტების წყლის გამდიდრებას
ნიდაგებისა და დანაღების შენარჩუნების უზრუნველყოფა და დაცვა		ნიდაგში არსებული ორგანული ნახშირბადი
საზღვაო წარმოებისა და საზღვაო რესურსების რეგულირება		ეკოსისტემების უნარი - შეინარჩუნოს და შეაკავოს ეკოლოგიური საფრთხე
მანქანა მოძრაობისა და გეოლოგიური პრესიების რეგულირება		- სამეურნეო მიწებზე ბუნებრივი პატივების გავრცელების არეალი - ტრანსმისიული დავალებების გადამტანი ორგანიზმების მრავალფეროვნება
ენერგია		- სამეურნეო მიწების - ბიომრავალფეროვნების წარმოებისთვის საჭირო პოტენციური მიწების გავრცელების არეალი - ტყით დაფარული ტერიტორიების გავრცელების არეალი
საქვები და ქვები		- სამეურნეო მიწების - საკვებისა და კვების წარმოებისთვის საჭირო პოტენციური მიწების გავრცელების არეალი - ზღვაში თევზის მარაგის სიმრავლე
რესურსები და უზრუნველყოფა		- სამეურნეო მიწების - მასალების წარმოებისთვის საჭირო პოტენციური მიწების გავრცელების არეალი - ტყით დაფარული ტერიტორიების გავრცელების არეალი
საგეოლოგიური, გეოქიმიური და გეოფიზიკური რესურსები		- სამედიცინო მიწებზე გამოსაყენებელი ადგილობრივი მცენარეების შერჩევა - ფილოგენეტიკური მრავალფეროვნება
შესაქმნა და ინსპირაცია		- ბუნების სასარგებლოდ მოქმედი ადამიანების რაოდენობა - სივრცის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და გამოყენების მიღება
ფიზიკური და ფიქსირებული გამოყენება		ბუნებრივი და ტრადიციული ლანდშაფტების და ზღვების არეალი
ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა		მიწის საფარის და მიწათსარგებლობის სტაბილურობა
კლტრანსმისიების უზრუნველყოფა		- სახეობების გადარჩენის შესაძლებლობები - ფილოგენეტიკური მრავალფეროვნება

